პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 1918-ე წლიდან | № 282 (13367) | სამშაბათი, 30 ნოემბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის იმხანაგ ვ. ულბრიხტის მიწვევით მიმდინარე წლის 27-დან 29 ნოემბრამდე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

გაიმართა შეხვედრები და საუბრები, რომლებშიც მონაწილეობდნენ გერმანიის ერთი ნი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები: ამხანაგები ვ. შტოფი, ე. ხონეკერი და სხვები. მეხვედრები და საუბრები მიმდინარეობდა გულითადობის, ძმობისა და შეხედულებათა სრული ერთიანობის ატმოსფეროში. მხარეებმა ერთმანეთს გააცნეს სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის მიმდინარეობა თავიანთ ქვეყნებში, გაანიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები, აგრეთვე ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ევროპასა და მსოფლიოს სხვა რაიონებში ამჟამად შექმნილი ვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის საკითხებზე. ხელმძღვანელებმა ღრმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ ურთიერთობა ორივე ქვეყანას შორის ... სრული თანხმობის სულისკვეთებით განვითარდება. ... გაფართოებას შესაძლო ... ძალისხმევით, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რ... ... ...

ფოთის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო ლიმონის კრეფა. კარგად შრომობს ამ მეურნეობის ციტრუსების პლანტაციებში მოწინავე მუშა ქალი კატო ანთიძე. მოწინავე მეციტრუსე ყოველდღიურად ორ ნორმას ასრულებს. სურათზე: საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი ლეილა უუფარაძე (მარცხნივ) და მოწინავე მეციტრუსე კატო ანთიძე ლიმონის კრეფის დროს.

ფოტო ი. ჯოხონელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ბჭობენ ფოთელი კომუნისტები

კარტიულ კონფერენციებზე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის ნიშნით შეიკრიბნენ ფოთელი კომუნისტები თვიანთ 38-ე საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე.

როგორ ასრულებენ პლენუმის გადაწყვეტილებებს? როგორია მომავლის პერსპექტივები — ამ დღეებზით წარიმართა კონფერენციის მუშაობა.

როგორც მომხსენებელმა, პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. გეგენავამ და კამათის მონაწილე დელეგატებმა აღნიშნეს, ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულ დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. საგრძნობლად ამაღლდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა. ისინი უფრო მოფიქრებულად წარმართავენ მშრომელთა შემოქმედებითს ენერგიას მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებისათვის.

კომუნისტთა ინიციატივისა და თვითმოქმედების მაჩვენებელია ქალაქის საწარმოთა კოლექტივების სამეურნეო საქმიანობის შედეგები, კულტურულ-ამქრდელობითი მუშაობის დონე. ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა — საანგარიშო პერიოდში — 1964 წელს და მიმდინარე წლის ათ თვეში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 106,6 პროცენტით შეასრულეს, ამასთან გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 5.381 ათასი მანეთის პროდუქცია. ამავე პერიოდში სამრეწველო საწარმოებში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 2,4 პროცენტით და ზეგეგმიერმა დაგროვებამ 411 ათას მანეთს მიაღწია.

იმ მიზნით, რომ აღმაღლონ ადამიანთა შრომითი აქტივობა, — ქალაქის სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტისა და მშენებლობათა პარტიული ორგანიზაციები დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან მასების ინიციატივისა და თვითმოქმედების განსავითარებლად, უნარიანად იყენებენ მუშაობის ისეთ ახალ ფორმებსა და მეთოდებს, რაც, როგორიც არის ნოვატორთა გამოცდილების განზოგადება და წარმოებაში დანერგვა, მუდმივმქმედი საწარმოო თათბირები, ეკონომიური კონფერენციები დ. სხვ., ყოველივე ამან აამაღლა წარმოების კულტურა და მნიშვნელოვნად გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა საწარმოში და მშენებლობაზე გაჩაღებულმა წინასაყრილობო სოციალისტურმა შეჯიბრებამ უზრუნველყო გეგმების ვადამდე და გადამეტებით განაღდება. სოციალისტურ შეჯიბრებაში თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს წისქვილ-კომბინატის, ხაოკეანო თევზეპრის რეპუბლიკური სამმართველოს, ჰიდრომექანიზმების, თევზკომბინატის, ტორფის ქარხნისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა. განსაკუთრებით დაწინაურდა წისქვილკომბინატის კოლექტივი, რომელმაც გეგმების სისტემატურად გადაჭარბებით შესრულების, ახალი ტექნიკის დანერგვისა და წარმოების ავტომატიზაციისათვის ახლახან პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელი მიიღო.

ჩვენი პარტია მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას. კონფერენციაზე დიდი ადგილი დაიკავა პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, ახალ პირობებში მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების საკითხებმა.

კონფერენციის დელეგატებმა მკაცრად გააკრიტიკეს ის პარტიული ორგანიზაციები, იდეოლოგიური დარგის მუშაკები, რომლებიც სუსტად იბრძვიან შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განსამტკიცებლად, ახალი ადამიანის აღსაზრდელად. ამის შედეგია ის, რომ ქარხანა „ფოთიელექტროაპარატმა“ და უსინათლოთა საზოგადოებამ ცხრა თვის გეგმის შეუსრულებლობით სახელმწიფოს დააკლეს 369 ათასი მანეთის პროდუქცია. ასევე შრომის ნაყოფიერების ცხრა თვის გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყოს ლუდისა და ხილეულის წყლების ქარხნების კოლექტივებმა.

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, ქალაქის მშენებელი ორგანიზაციები ვერ ითვისებენ კაპიტალური მშენებლობისათვის ასიგნებულ თანხებს. მაგალითად, 1964 წელს კაპიტალური მშენებლობის გეგმა შესრულებულ იქნა 80,5 პროცენტით. მიმდინარე წლის ათ თვეში კი 70,1 პროცენტით. განსაკუთრებით ცუდად მიმდინარეობს წყალსადენის მეორე რიგის სამუშაოები.

ხორცკომბინატში, ელექტრომანქანური გამაძლიერებლებისა და „ფოთიელექტროაპარატის“ ქარხნებში ჯერ კიდევ არის არასტანდარტული და უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფაქტები.

დელეგატებმა ღრმად და ყოველმხრივ გაუკეთეს ანალიზი პარტიული სწავლების სისტემაში მეცადინეობის ორგანიზაციასა და იდეურ დონეს, პროპაგანდისა და აგიტაციის, მშრომელთა კომუნისტური შეგნებულობის ამაღლების ყველა ფორმისა და საშუალების ეფექტიანობას. ახალი სასწავლო გეგმების შესაბამისად პარტიული განათლების სისტემაში შექმნილია 102 დაწყებითი პოლიტსკოლა, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების 31 სკოლა და საშუალო და უმაღლესი რგოლის 24 თეორიული სემინარი. მათში გაერთიანებულია 3.600 მსმენელი, მათ შორის 2.374 კომუნისტი. ამის გარდა 160 კომუნისტი მეცადინეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.

საქალაქო კომიტეტი, მისი ბიურო განიხილავენ იდეოლოგიური მუშაობის ცალკეულ საკითხებს, გარკვეულ მუშაობას ეწევიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების თვითეული მუშისა და მოსაყსახურისათვის გასაცნობად. ეწყობა ლექცია-მოხსენებები, თეორიული კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები.

კომუნისტებმა მ. ჯაბუამ, რ. გაბისონიამ, გ. ნუნიამ, გ. კუხალეიშვილმა, რ. ცომაიამ, ე. დობორჯგინიძემ, ო. ჩოჩიაშ, გ. მირცხულავამ, აკ. ტიკარაძემ, თ. თოდუამ, გრ. კოკაიამ, შ. მატკავამ და დ. ბერაიამ სხვა საინტერესო საკითხებთან ერთად ილაპარაკეს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდაზე. მათ აღნიშნეს, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლის ღონისძიებანი იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ შრომობენ, ცხოვრების იოლ გზას ეძებენ, ჩვენი საზოგადოების წეგრისათვის შეუფერებელ საქციელს სჩადიან.

კონფერენციამ ნათლად გამოხატა ფოთელ კომუნისტთა მტკიცე გადაწყვეტილება — იმუშაონ ისე, რომ ახალი წარმატებებით შეხვდნენ სკკპ XXIII და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობებს.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ახალი ამოცანების ლონეზე

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტების გაერთიანებული პლენუმი

სოხუმი. (საკ. კორ.). საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტების გაერთიანებულმა პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის შედეგები. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კრიბანიკ.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს შვიდწლეულში აფხაზეთის მრეწველობის მიერ მიღწეულ წარმატებებზე. 6 წელიწადსა და 10 თვეში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 23 მილიონზე მეტი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. მრავალმა საწარმომ (სოხუმის თამბაქოს ფაბრიკა, ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი, სოხუმის ხორცკომბინატი, საკონდიტრო ფაბრიკა, ტყეარჩელქანახშირის ტრესტის პირველი და მეხუთე შახტები) მიმდინარე წლის პირველ თვეებში შეასრულა შვიდწლედის პროგრამა და ამჟამად მომავალი წლის ანგარიშში მუშაობს. სოხუმის მრეწველობამ შვიდწლიანი გეგმა ვადამდე — 9 სექტემბრისათვის შეასრულა, მთლიანად აფხაზეთის მრეწველობამ კი შვიდწლედი 6 წლისა და 9 თვეში გაანაღდა.

მაგრამ, როგორც პლენუმზე აღინიშნა, წარმატებები გაცილებით მეტი იქნებოდა, მრეწველობის მართვის არსებული სტრუქტურა, მეთოდები, დაგეგმარება და ეკონომიური სტიმულირება ამ უკანასკნელ წლებში ახალი, გაზრდილი მოთხოვნების, საწარმოო ძალების განვითარების დონეზე რომ მდგარიყო.

პლენუმმა შეიმუშავა ღონისძიებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება — აფხაზეთის XXIX საოლქო კონფერენცია მოეწყოს 1966 წლის 4 თებერვალს.

კადრების ეკონომიური სწავლება

რუსთავი. (საკ. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა უკეთ გაახორციელების მიზნით პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტმა შექმნა სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელების ეკონომიური სწავლების სკოლა.

აღსანიშნავია, რომ ეს სკოლა პარტიის საქალაქო კომიტეტმა შექმნა საქართველოს სსრ სახელმწიფო სგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან ერთად.

ეკონომიური სკოლის მსმენელებად ჩარიცხული არიან ქარხნების დირექტორები, დირექტორების მოადგილეები ეკონომიკის დარგში, პარტიული კომიტეტის მდივნები, მსხვილი ქარხნების საამქროთა პარტბიურების მდივნები, აგრეთვე პარტიის საქალაქო კომიტეტის მრეწველობის განყოფილების მუშაკები, სულ 60-მდე კაცი.

სკოლის პირველი მეცადინეობა მოეწყო თემაზე: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი სოციალისტური სამეურნეო ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების შემოქმედებითი განვითარებაა“. მოხსენება წაიკითხა საქართველოს სსრ სახელმწიფო დაგეგმვის, ეკონომიკისა და დაგეგმარების ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ვ. მელქაძემ.

რამდენიმე ასეთი მოხსენების შემდეგ გათვალისწინებულია მოეწყოს სემინარები, სადაც შემოწმდება სკოლაში გაერთიანებულ მსმენელთა ცოდნის დონე, და მეორეც, მოხდება ამა თუ იმ საკითხის განხილვა და აზრთა ურთიერთგაზიარება. ეკონომიური სწავლების სკოლის მეცადინეობა თვეში ერთხელ გაიმართება. იგი უდავოდ შეუწყობს ხელს სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელების ეკონომიური და თეორიული ცოდნის დონის ამაღლებას.

სკკპ ცკ-ის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

ქარხნის დირექტორის ტრიბუნა

ახლებურად დაგეგმვის პირველი ნაყოფი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის საფუძველზე დაგეგიმარნა მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმარების სრულყოფის, წარმოების ეკონომიკის სტაბილიზების, მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური სტიმულირების და ბევრი სხვა ღონისძიებები, რომლებსაც უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ სოციალისტური წარმოების შემდგომი ეკონომიური განვითარების საქმეში.

ცხოვრება დღის წესრიგში აყენებს წარმოების მოგების ფაქტორს, როგორც ძირითად მაჩვენებელს. მართლაც, მოგების ხარჯზე საწარმოში იქმნება მატერიალური დაინტერესება, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა, ბინათმშენებლობისა და წარმოების განვითარების ფონდები. თვითეული მათგანი გარკვეულ როლს ასრულებს მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ დაინტერესებაში.

წარმოების მუშაკთა მატერიალურ სტიმულირებას, გეგმარების სწორ მეთოდს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა, რომ საერთო პროდუქციის შესრულების მაჩვენებლით გატარებული ბევრი წარმოება ნაკლებად ზრუნავდა გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციაზე, მოგებასა და სხვა ეკონომიურ მაჩვენებლებზე. არ შეგიწერდი ყველა იმ საკითხზე, რომლებიც ხელს უშლიდა და საშუალებას არ აძლევდა წარმოებას ე. წ. „ვალის“ გარდა წარმატებით შეესრულებინა სხვა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, მაგრამ ერთ-ერთ მათგანზე, კერძოდ ხელფასზე, შინდა გავამახვილო ყურადღება.

ცნობილია, რომ რამდენიმე წლის წინათ ხელფასის, დონის რეგულირებისათვის მთელი რიგი ღონისძიებანი გატარდა. ამ ღონისძიებებმა შეამცირა წარმოების ზოგიერთი მუშაკის ხელფასი, პირველ რიგში კი კომპლექტის, ბრიგადის „ქვეოსტატების“ კომპლექტი, ბრიგადა წარმოების საწყისი რგოლია. მათი უშუალო ხელმძღვანელის (ქვეოსტატის, ბრიგადირის) ხელფასის დონის შემცირებას არ შეეძლო უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა წარმოების ეკონომიურ მაჩვენებლებზე. გაუარესდა მანქანა-დანადგარების ტექნიკური მდგომარეობა, გაიზარდა ნედლეულის დანაკარგები, შენელდა მუშის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა. იმატა მუშათა დენადობამ, გაუარესდა შრომისა და საწარმოო დისციპლინა. ყოველივე ამან კი დასჭირა წარმოების ყველა მაჩვენებელი. წარმოების ხელმძღვანელს სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ შეეფასებინა მანკიერი დაგეგმარების გამო ზევიდან მიცემული საერთო პროდუქციის გეგმა.

წარმოების ყველა მუშაკი თუ არ იქნებოდა მატერიალურად დაინტერესებული, ძნელი იყო კარგი მაჩვენებლებით მუშაობა. ამიტომ არის დასაფასებელი ყველა ის ღონისძიება, რომელთა მიზანია მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მატერიალური სტიმულირება.

საშეიძრო მრეწველობაში ამ მიმართულებით უკეთ გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯი, იგლისიდან ამოქმედდა მუშუქი მრეწველობის მუშაკთა პრემირების ახალი სისტემა, რომელმაც საგრძნობლად გაზარდა მწარმოებლის მატერიალური დაინტერესება. მიმდინარე წლის იანვრიდან მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე ზოგიერთი საწარმო (სამკერვალო, ფეხსაცმლის, საფეიქრო) გადაყვანილია უშუალოდ მომხმარებელთან დაკვეთის მეთოდზე. ასეთი მეთოდის შემოღების მიზანი იყო სამრეწველო ორგანიზაციებს დაკისრებოდათ სრული პასუხისმგებლობა მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციისათვის. თუ თბილისის მაუდ-კაბგოლის კომბინატის მაგალითით ვიმსჯელებთ, ამ სისტემამ სრული ბამართლება კპოვა!

სავაჭრო ორგანიზაციებთან პირდაპირი დაკავშირებით მომუშავე საწარმოებს მიეცათ გარკვეული დამატებითი უფლებანი: მაგალითად, ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით შრომის ლიმიტის, ასორტიმენტის ვეგმის შეცვლა. უფლება მოგვეცა, თუ ეს ხელს უწყობდა პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. შეგვეცვალა ხელფასის ანაზღაურების სანარდო სისტემა დროებით ხელფასით, ისე რომ მუშისათვის შეგვენარჩუნებინა სანარდო განაკვეთი.

საფეიქრო მრეწველობაში ხელფასის ანაზღაურების ორ ძირითად ფორმას ვიხდებით: სანარღოს, როდესაც ხელფასი დამოკიდებულია გამოშვებული პროდუქციის რაოდენობაზე. და დროებითს, რომლის გამოყენების შემთხვევაში ხელფასი ანაზღაურდება ნამუშევარი დროის ხანგრძლივობის მიხედვით. თვითეულ მათგანს გარკვეული ნაკლი აქვს, ხოლო მათი შერწყმით შეიძლება შეიქმნას პრემირების უფრო პროგრესული, სრულყოფილი წესი.

კომბინატის მუშაობის ახალ სისტემაზე გადასვლა პირველ რიგში ითვალისწინებდა გამოშუშებული პროდუქციის ხარისხის მკეთრ გაუუმჯობესებას და შემდგომ ხელფასის ხარისხობრივი ანაზღაურების სისტემის დანერგვას. ამ მიმართულებით კომბინატში გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები. გაუმჯობესდა ბოჭკოს ღებვა, ამუშავდა მატყლიდან ფისოვანი ბოჭკოს ამომრჩევი კონვეიერი, დაინერგა კამეოლური ლენტის ორჯერადი გარცხვა, საექსპლოატაციოდ გადაეცა წყლის დამარბილებელი სადგური, დაენერგეთ თეორი სპირტით ქსოვილების გარეცხვა, მათ ღია ფერებად შეღებვის მიზნით, შეიცვალა ქსოვილების დამშაეკების ტექნოლოგიური რეჟიმი. ამ და სხვა ღონისძიებათა გატარებამ მნიშვნელოვნად გაუუმჯობესა კომბინატის საწარმოო მაჩვენებლები, კერძოდ: გეგმასთან შედარებით ქსოვილების ხარისხი ამაღლდა 3 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდამ წინა წელთან შედარებით 3,1 პროცენტს გადაკაპარა 10 თვის პროდუქციის რეალიზაციამ 118 პროცენტი შეადგინა. მატერმ მე-3 კვარტალში პროდუქციის თვითდირებულება შემცირდა 216 ათასი მანეთით, ხოლო ზეგეგმიერმა მოგებამ 9 თვეში 219 ათას მანეთს მიაღწია. ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა ზემოაღნიშნული ტექნოლოგიური ღონისძიებებისა და ხარისხობრივი მაჩვენებლის მიხედვით, ხელფასის გადახდის დანერგვის შედეგად!

პროდუქციის ხარისხის ამაღლების მიზნით მუშაკთა მატერიალური დაინტერესების საკითხში მთავარი იყო მაუდის, კამეოლურ და სამქსოვ წარმოებებში პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისა და ანაზღაურების ახალი წესის შემოღება, რაც იმით გამოიხატება, რომ პრემიის ფარიცხვისას გადამწყვეტ როლს ასრულებს არა გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა, რომელიც წინათ, არამედ ხარისხი!

ხამი ქსოვილის პროდუქციის ხარისხი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა გეგმით გათვალისწინებულს, არ წარმოებდა მქსოველებისა და ქვეოსტატების მატერიალური დაინტერესება პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად, თუმცა გამომუშავების ნორმები სრულდებოდა 120-130 და მეტი პროცენტით. არ პრსებობდა შრომის ანაზღაურების ისეთი სისტემა, რომელიც ჯეროვნად წაახალისებდა იმ მჭსოველებს, რომლებიც უდიფაქტო მუშაობასთან ერთად გადაკაპარებებით ასრულებდნენ გამომუშავების ნორმებს. გაუგებრად ნაკლები იყო მათი ხელფასი იმ მუშებთან შედარებით, რომლებიც რაოდენობას ზრდიდნენ ხარისხის გაუარესების ხარჯზე. მაგალითად, მქსოველი ნორმის 1 პროცენტით გადაკაპარებისათვის იღებდა 3 პროცენტს პრემიას, ახლა კი მას ხარისხის 1 პროცენტით გაზრდისათვის 10 პროცენტი პრემია ერიცხება.

ახალი სისტემის დანერგვის შემდეგ პრემიალური გასამრჯელო მოემატა მქსოველთა 25 პროცენტს, ხოლო 199-დან 125 მქსოველი ყოველთვიურად მხოლოდ პირველ ხარისხის ხამ ქსოვილს იძლევა. მათი რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება. საგრძნობლად გადიდდა იმ მქსოველთა ხელფასიც, რომლებიც ხარისხის მაჩვენებლებს ასრულებენ. მაგალითად, მქსოველმა მ. ახალკაცმა სექტემბრის დაკვეთა 103 პროცენტით გააანღდა და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია გამოუშვა. მან 127,77 მანეთი მიიღო. სხვა დროს კი იმავე პირობებში მ. ახალკაცი 10 მანეთით ნაკლებს იღებდა. ამ ღონისძიებათა გატარების შედეგ მქსოველთა საშუალო ხელფასი 11 მანეთით გაიზარდა! ჯელ ამ თვეში კომბინატის ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა პრემიის სახით მიიღო 38 400 მანეთი, ხოლო მუშებმა — 215.751 შანეთი.

ნახევარფაბრიკატების ხარისხის გაუმჯობესებას თან სდევდა პროდუქციის გამოშვების რაოდენობრივი ზრდაც. უკეთესი ხარისხის პროდუქციისათვის ბრძოლამ გაზარდა შრომისა და მანქანა-დანადგარების ნაყოფიერებაც. ამაღლდა პროდუქციის გამოსავლიანობის მაჩვენებელიც. ამან საშუალება მოგვცა მანქანა-დანადგარების ნაყოფიერება გაგვედიდებინა მაუდის წარზოებაში 1-, ხოლო საქსოვ წარმოებაში 2,3 პროცენტით. გაუუმჯობესდა შრომის ანაზღაურება და ორგანიზაცია. ტექნიკური დანორმვა. საგრძნობლად შემცირდა მუშათა დენადობა. ყოველივე ამან საშუალება მოგვცა ოქტომბერში. გამოშვებული მზა ქსოვილების ხარისხის მაჩვენებელი გეგმით გათვალისწინებული 82 პროცენტის ნაცვლად 92,2 პროცენტამდე აგვიმაღლებინა და რაც უფრო მნიშვნელოვანია, წლევანდელთან შედარებით 1966 წლის გეგმა გავზარდოთ 405 ათასი მეტი ქსოვილით, ასევე უდიდესი როლი შეასრულა კოლექტივთან მუშაობამ. ახალი მეთოდის არსი კოლექტივის ყველა წევრს გავაცანით. კომბინატის კოლექტივმა სწორად გაიგო ამ სიახლის უპირატესობა და ხალისით დაენერგა იგი.

მატერიალური სტიმულირება მრეწველობის განვითარების რეალური საშუქველია. საკავშირო საბჭურნეო დაგეგმვიდან და ინიციატივის გაფართოება, ისეთი ეკონომიური კატეგორიების როლის აამაღლება, რომორიც არის ფასი, მოგება და მრავალი სხვა, ძნელის მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარების საშუალებელა.

ჩვენი პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი სისტემატურად სრულყოფენ მრეწველობის მართვისა და სტიმულირების სისტემებს და ფორმებს, დროულად უარყოფენ მოძველებულ მეთოდებს და ნერგავენ ახალ, პროგრესულ გზებს. ამის მკაფიო დადასტურებაა მოგვიანებ და სხვა საკუთარი რესურსების ბაზაზე შექმნილი და წარმოების განკარგულებაში არსებული შემდეგი ფონდები:

ა) მატერიალური წახალისების, ბ) სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და ბინათმშენებლების და გ) წარმოების განვითარებისა.

მატერიალური წახალისების ფონდი იქმნება წარმოების მოგების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების გამო ფასნამატის, საგეგმო და ფაქტიური რენტაბელობის, ახალი სახის პროდუქციის ხვედრითი წონის, მოგებისა და რეალიზაციის გადაჭარბების, აგრეთვე ფართო მოხმარების საგნების წარმოების ბაზაზე.

აღნიშნულ ფონდში მოგებიდან ჩანარიცხის რაოდენობა განისაზღვრება ნორმატივით, რომელიც პირდაპირ კავშირშია წარმოების პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის გადიდებასთან. მატერიალური წახალისების ფონდი წარმოებას დაერიცხება კვარტალურად. მისი 90 პროცენტი გამოყენებულ იქნება მუშების, ინჟინერ-ტექნიკური და ხელმძღვანელი პერსონალის დასაჯილდოებლად. დარჩენილი 10 პროცენტით იმავე მიზნისათვის ვისარგებლებთ მხოლოდ სამეურნეო წლის დამთავრების შემდეგ პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების გეგმების შესრულების მხედველობაში მიღებით. იმ წარმოებებში, რომლებიც კარგი მუშაობის შედეგად შექმნიან წახალისების ფონდს, მომსახურე პერსონალზე გაიცემა ორი სახის პრემია — ხელფასისა და წახალისების ფონდების ხარჯზე. აღსანიშნავია, რომ ამ ფონდიდან აუთვისებელი თანხები წარმოებას მომავალ წელსაც რჩება.

წარმოების ხელმძღვანელობას უფლება ეძლევა გატარებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული ეკონომიის ნაწილი გამოიყენოს ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის დასაჯილდოებლად 3-6 თვის განმავლობაში, ღონისძიების დანერგვის დღიდან.

დღემდე ხელფასის ფონდის გამოუყენებელი ნაშთი წარმოებას ეკარგებოდა. ახალი წესის თანახმად ის შეიძლება გამოყენებულ იქნას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გარდა წარმოებას უფლება რჩება გამოიყენოს პრემირების ამჟამად მოქმედი წესიც:

ა) ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის,

ბ) წარმოების ნარჩენებიდან ფართო მოხმარების საგნების შექმნისათვის,

გ) სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა წახალისებლად.

წარმოების სოციალურ-კულტურული ღონისძიებების და ბინათმშენებლობის ფონდიც მოგების ხარჯზე იქმნება. წარმოების მიერ აშენებული საცხოვრებლების ფართობი ფილიალად რჩება მის განკარგულებაში, რაც დღემდე არ იყო. ეს ღონისძიებაც მიმართულია მუშაკის მატერიალური დაინტერესებისაკენ და დიდად შეუწყობს ხელს კადრების შენარჩუნებას, რაც დადებითად იმოქმედებს მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

წელს ჩვენს კომბინატში განხორციელდა მატერიალურ ფასეულობათა ზუსტი აღრიცხვისა და წარმოების ეკონომიკის ანალიზის გაუმჯობესების ღონისძიებები. კომბინატში წლების მანძილზე არასწორი ფასეული აღირიცხებოდა წარმოების ნარჩენები, რომელთა მიმართ ვრცელდებოდა ფასანაკლებობა. რეალიზებული ნარჩენები ფასდებოდა, როგორც დამუშავებული. თუმცა უნდა შეფასებულიყო, როგორც დაუმუშავებელი. ეს ზრდიდა ზარალს. განვახორციელეთ ორიგინალური მატყლის ე. წ. ბუტკური აღრიცხვა, რითაც დროულად ვაკვფიქრმეთ ნედლეულის მოძრაობის დოკუმენტაციაზე, ყოველდღიური კონტროლი გავუწიეთ გამოსავლიანობას და საერთოდ ნედლეულის დამუშავება დავუმორჩილეთ გარკვეულ კანონზომიერებას.

აღრიცხვის ასეთი წესის დანერგვის შედეგად წინა წელთან შედარებით მატყლის გამოსავლიანობა გაიზარდა 2-3 პროცენტით, რითაც მარტო წელს ბოლო სამ თვეში კომბინატმა 259 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო. საქსოვ წარმოებაში დაინერგა ნახევარფაბრიკატების პარტიებად ანგარიში, კომბინატის ყველა გადასვლაზე წარმატებით განვახორციელეთ ნედლეულის კონდიციური წონით აღრიცხვა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნედლეულის სწორად გამოყენებისა და მისი შემდგომი ხანაღიზის საქმეში.

გვინდა გამოვთქვათ აზრი მუშაკის მატერიალური სტიმულირების შესახებაც. კომბინატში მუშის საშუალო ხელფასი 80-90 მანეთია. ჩვენმა აზრით, ყველა ამ სიახლის დანერგვა და რაციონალური შედეგებიან მიღწევა შესაძლებელი იქნება მუშის ხელფასის არსებული დონის 30-50 პროცენტით გაზრდის შემთხვევაში! ჯერ კიდევ ბევრი რამ არის უცნობი, ჯერ კიდევ ხელთ არა გვაქვს სახელმწიფო სოციალისტური საწარმოს წესდების დარგობრივი დებულებები. მაგრამ აღნიშნული საკითხების მოგვარების შემთხვევაში ზოგიერთ საწარმოს, კერძოდ კი ჩვენს კომბინატს შეუძლია გადავიდეს მეშაობის ახალ მეთოდზე 1966 წლიდან!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელება ღრმა ეკონომიურ ცოდნას მოითხოვს წარმოების ინჟინერ-ტექნიკური და მომსახური პერსონალის მხრივ. დადგა დრო, რომ ოსტატიც კი, რომ არაფერი ვთქვათ თანამდებობრივად ამაზე მასზე მაღლა მდგომ პირებზე, დეტალურად უნდა ეროკვეოდეს წარმოების ეკონომიკაში., თვითღირებულების ყველა მუხლსა და ელემენტში, სამუშაო დროის ზუსტად გამოყენებასა და გამოყენებაში. ყოველდღიურად ანალიზი უნდა გაუკეთდეს ნედლეულს, დამზადარე მასალის ყოველი ერთეულის ხარჯვას, მოინასოს ახალი გზები მათი სწორად გამოყენებისათვის, რისთვისაც წინა ხაზზე გამოდის პირველადი აღრიცხვა და წარმოების ბუხჰალტერია. ამ მხრივ, კი უნდა ითქვას, ყველაფერი რიგზე რიდია. ჩვენს მრეწველობას არა ჰკავს აღრიცხვის დარგის კვალიფიციური მუშაკები, არ გვყოფნის ბუხჰალტრები. ახალგაზრდა ეკონომისტებმა ძალზე უხალისოდ მოდიან სამუშაოდ საწარმოში. ეს განპირობებულია ხელფასის დაბალი დონით. შესაბამისმა უმაღლესმა სასწავლებლებმა კი უნდა იზრუნონ აღრიცხვის დარგის მაღალკვალიფიციური მუშაკების მომზადებისათვის.

ძალიან დროულ და საჭირო ღონისძიებას ახორციელებს საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტი წარმოების მუშაკთა ეკონომიური ცოდნის ამაღლებისათვის. უკვე ჩამოყალიბდა ეკონომიური სწავლების რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც იმოქმედებენ უმაღლეს სასწავლებლებთან და ქალაქის მსხვილ საწარმოებთან.

მრეწველობა ახალი ამოცანების წინაშე დგას. ჩვენი ვალია დარსეულად დავნერგოთ ცხოვრებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

მ. ბაბუნაშვილი,
თბილისის მაუდ-კაბგოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი.

საქართველო — მერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

მეფოლადეთა მეგოგრაგა

რუსთავი. (საკ. კორ.). რამდენიმე დღე დაპყო მეტალურგიულ ქარხანაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციალისტ მეტალურგთა ჯგუფმა. მის შემადგენლობაში იყვნენ სახელმწიფო საბოლოქანის „მეტალურგპროექტის“ და ქალაქ როსას მეტალურგიული ქარხნის წარმომადგენლები.

სტუმრების მიზანი იყო გასცნობოდნენ რუსთაველი მეტალურგების შრომის მეთოდებს, კერძოდ, შეესწავლათ ქართველ მლმგლინავთა გამოცდილება.

გერმანელმა სპეციალისტებმა განსაკუთრებით საფუძვლიანად შეისწავლეს დანი „400“, რომლის კომპლექსური მექანიზაციისათვის ქართველ მეტალურგთა დიდ ჯგუფს მიეთვისებული აქვს ლენინური პრემიები.

დანის შესახებ გერმანელ კოლეგებს ინფორმაცია მიაწოდეს მილსგალნავი საამქროს უფროსმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა პ. ჭერეთელმა, საამქროს უფროსის მოადგილემ ა. უბერიამ, უფროსმა მეკალიბემ გ. სალპეიტერმა და სხვებმა.

გერმანელ მეტალურგებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა აგრეთვე დან

საქართველოს ხმა

საერთაშორისო რეზოლუცია

მეგობრული მისალმება

ჩეხოსლოვაკიელი ხალხის გონებასა და გულში სამუდამოდ დამკვიდრდა იმის შეგნება, რომ ჩვენი მიზნების განხორციელება განუყრელად დაკავშირებულია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხების უოყველმჭრივი ძმური ურთიერთობის თანდათანობით გაღრმავებასთან, ნათქვამია ჩეხოსლოვაკიელი ხალხის წერილში საბჭოთა ხალხისადმი. ეს წერილი 27 ნოემბერს მიიტანეს მეგობრობისა და მშვიდობის ესტაფეტით საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე.

ჩეხოსლოვაკიელი ხალხი დიდად აფასებს საბჭოთა კავშირის ავანგარდულ როლს თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრებაში. ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ გმირ ვიეტნამელ ხალხს სამარცხლიან ბრძოლაში ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ.

მომავე საბჭოთა კავშირის ურყევი პოზიცია და უდიდესი ძალა და სოციალისტური კეკეყნების ერთობლივი მოქმედება მგვანნია იმის საიმედო გარანტიად, რომ ომიანობა არ განხორციელდება დასავლეთგერმანელ რევანშისტთა და მილიტარისტთა ზრახვები.

ჩეხოსლოვაკიელი ხალხი მტკიცედ ეს-ნრაფვის მსოფლიო სოციალისტური სისტემის ერთობისა და ძალის შემდგომ გაფართოებასა უწინარეს ყოვლისა ყველა სამეურნეო ამოცანის თანამიმდევრული შესრულების გზით.

დიდი ოქტომბრის ანდერძი გვავალებს განსხვავებულ ვიაროთ წინ, განვამტკიცოთ ყოველივე დადებითი, რაც მოვიპოვეთ, დავფლიოთ ის, რაც უკვე მოძველდა, განვავითაროთ ჩეხოსლოვაკიელი ხალხის შემოქმედებითი ინიციატივა სოციალიზმის სასარგებლოდ, კომუნისტური იდეების გამარჯვების საკეთილდღეოდ.

◆

უანგარო დახმარება

ფელი, 29 ნოემბერი. (საკდესი). „საბჭოთა კავშირმა პირველმა გაუწია ინდოელთა დახმარება, რათა შეექმნა ძლიერი სახელმწიფო სექტორი მრეწველობაში, ანაკეთებთან მძიმე მრეწველობაში,— განაცხადა „ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიური თანამშრომლობის“ სემინარზე, რომელიც აქ მიმდინარეობს. ეროვნული საგეგმო კომისიის წევრმა ფ. ჯ. რაზმ, — საბჭოთა კავშირის დახმარებას,— განაგრძო მან, — ბევრ მხრივ ეფორო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე იმ დახმარებას, რომელიც დასავლეთის ქვეყნებმა, კერძ შორის, შეერთებულმა შტატებმა გაუწიეს ინდოეთს“.

რამ ხაზი გაუსვა, რომ ეკონომიურ თანამშრომლობას, რომელიც განოწყვეტელ ვითარდება ორ ქვეყნას შორის, საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელი ინდოეთის განვითარებადი ეკონომიკისათვის.

სემინარზე გამოვიდა აგრეთვე ინდოელი მეშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ფალსაჩინო მოღვაწე ს. სოკეი, რომელმაც ძალიან შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის დახმარებას ინდოეთის ტექნიკური კადრების მოამზადებაში მრეწველობისათვის.

◆

ამერიკელ ბანდიტთა ბინაზე

ბალტიმორი, 29 ნოემბერი. (საკდესი). ავტორის ფედერალური კანცელარი იოზეფ კლარ გუშინ საღამოს ჩამოვიდა აქ იმ მიზნით, ... მოლაპარაკებდა გამგეობის ვიცე-პრეზიდენტ ჰემფრისა და სახელმწიფო მდივან რასკთან.

მიტერანის მხარდასაჭერად

პარიზი, 27 ნოემბერი. (საკდესი). მარტინიკის კომუნისტურმა პარტიამ გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს ფრანსუა მიტერანის კანდიდატურას საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე. „ამ გადაწყვეტილებით, — აღნიშნავს იუფის საგაზეთო, — პარტია აცხადებს, რომ ოპოზიციაში უდგას მარტინიკში დე გოლის ხელისუფალთა კოლონიზატორულ პოლიტიკას, რომლის შედეგად იქ მნიშვნელოვნად გაუარესდა ხალხთა მასების მდგომარეობა“.

მიტერანის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს აგრეთვე დამოუკიდებელმა პროგრესულმა პარტიამ და მარტინიკის გაერთიანებულმა სოციალისტურმა პარტიამ.

მარტინიკის კუნძული, რომელიც კარიბის ზღვაში მდებარეობს, საფრანგეთის ოკეანესმიერი დეპარტამენტია.

ნიუ-იორკი, 27 ნოემბერი.

საკდესის კორესპონდენტები ი. ლაპიცკი და ს. ლოსევი გვატყობინებენ: პირველმა კომიტეტმა (პოლიტიკური საკითხები და უშიშროების პრობლემები) დაამთავრა ატომური იარაღის გამოცდის სრული აკრძალვის საკითხის განხილვა. ამ საკითხის-განხილვის დროს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა და სხვა დელეგატების უმრავლესობამ აღნიშნეს, რომ უნდა აიკრძალოს ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდა, რომ ასეთი აკრძალვა შეესაბამება მშვიდობის განმტკიცებისა და გამალებული შეიარაღების შენელების ინტერესებს.

დისკუსიების შედეგად, რომელიც რამდენიმე დღეს გაგრძელდა, გუშინ ხმების უმრავლესობით კომიტეტმა დღის სხდომაზე მიიღო რეზოლუციის პროექტი, რომელიც დელეგაციათა ერთმა ჯგუფმა წამოაყენა. რეზოლუცია მოითხოვს შეწყვიტონ ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდა და დაიცვან ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ მოსკოვის ხელშეკრულების არსი და დებულებანი. შემდეგ რეზოლუცია წინადადებას აძლევს 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტს განაგრძოს მუშაობა „ატომური იარაღის გამოცდის ყოველისმომკველი აკრძალვის ხელშეკრულებასა და ღონისძიებებზე,



რომლებიც ითვალისწინებენ ყველა გარემოში ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის ეფექტიან აკრძალვას, მხედველობაში იღებენ რა სესისმოგრაფიის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესებულ შესაძლებლობებს, და წარუდგინონ, მოხსენება გენერალურ ასამბლეას“. დღეილი შესამჩნევია, რომ რეზოლუციის უკანასკნელი პუნქტი გარკვეულ ეჭვს იწვევს, რადგან ამ პუნქტმა არ არის ნათქვამი, რომ მოსკოვის ხელშეკრულება, როგორიც არის, მთელი თავისი დებულებებით გავრცელდეს ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდებზე, არამედ წინადადებას იძლევა შეიმუშაონ რაღაც ახალი ხელშეკრულება და ახალი ღონისძიებანი. დასავლეთის სახელმწიფოები არ ფარავენ, რომ ასეთ ღონისძიებებად მიაჩნიათ საერთაშორისო კონტროლისა და ინსპექციის დაწესება, ესე იგი ჯაშუშობის ლეგალიზაცია. ამას თავის გამოსვლაში ყურადღება მიაქცია საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ს. კ. ცარაპკინმა.

რეზოლუციის პროექტს ხმა მისცეს 86 ქვეყნის წარმომადგენლებმა, თავი შეიკავა 13 დელეგაციამ — საბჭოთა კავშირის, ალეირის, ბელორუსიის სს რესპუბლიკის, ბულგარეთის, კუბის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, გვინეის, უნგრეთის, მონღოლეთის, საფრანგეთის, უკრაინის სს რესპუბლიკის, მავრიტანიის დელეგაციებმა.

ინტერვენტთა ზარალი

ლონდონი, 28 ნოემბერი. (საკდესი). დღეს მარიონეტული ძალების ორი ბატალიონი მთლიანად გაანადგურეს განთავისუფლების არმიის მებრძოლებმა გაფფორებულ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა ამ ქვეყნის უდიდეს კაუჩუკის პლანტაციაში 64 კილომეტრზე საიგონის ჩრდილო-დასავლეთით. როგორც რეიტერის საგენტოს საიგონელი კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, ეს მარიონეტული ჯარების ყველაზე დიდი დამარცხებაა სამხრეთ ვიეტნამში ბრძოლების ამ უკანასკნელი ექვსი თვის მანძილზე.

განთავისუფლების არმიის მებრძოლებმა იერიში მიიტანეს საიგონის ჯარებზე იმ მომენტში, როცა ისინი ჩამწკრივდნენ, პლანტაციიდან გამოსასვლელად, რადგან გადაწყვიტეს, რომ გავრეკეთო განთავისუფლების არმიის ქვეგანაყოფები ამ რაიონში. ამ დროს განთავისუფლების არმიის მებრძოლებმა მათ დაუშინეს არტილერიისა და შაშხანის ცეცხლი. პატრიოტები ჩაებნენ ხელჩართულ ბრძოლაში, შეიჭრნენ მოწინააღმდეგის კოლონაში, ორად გაუკეს იგი და ხელთ იგდეს შტაბი და საიგონის ჯარების პოლკის მეთაური.

მარიონეტულმა ჯარებმა დასახმარებლად მოუხმეს ამერიკის ავიაციას. მაგრამ ამერიკის თვითმფრინავებმა ამ აურზაურში ბომბები დაუშინეს თავიანთ მოკავშირეებს. ამის შედეგად სამხრეთ ვიეტნამის ჯარებს კიდევ უფრო დიდი ზარალი მოუვიდა.

ინდოეთ-საბჭოთა ... ურთიერთობა

ლონდონი, 29 ნოემბერი. (საკდესი). ... ბაზე, რომელიც აქ მიმდინარეობს, დამთავრდა განხილვა ... ტიკური ... ნერალურმა მდივანმა ჯონ გოლანმა წარადგინა. კამათის დამთავრების შემდეგ მან საბოლოო სიტყვა წარმოთქვა. გოლანის მოხსენება ყრილობამ მოიწონა.

◆

ქონგოს ახალი მთავრობა

ლეოპოლდვილში შეიქმნა ქონგოს ახალი მთავრობა. მთავრობაში შეიყვანენ როგორც ჩომბეს პარტიის „ქონგოს“ წარმომადგენელნი, ისე დამბოლილი პრეზიდენტის კასავუბუს ზოგიერთი მომხრე.

◆

რასისტები შეთანხმდნენ

პარიზი, 27 ნოემბერი. (საკდესი). პორტუგალიამ სამხრეთ როდეზიას შეუკვეთა 18 ათასი ტონა ფოლადი. როდეზიის დედაქალაქის სალიბერ წრეებში, იუწყება ფრანს პრესის საგენტოს სოლსბერეელი კორესპონდენტი, იმედს გამოთქვამენ, რომ პორტუგალია კვლავაც განაგრძობს შეკვეთებს სამხრეთ როდეზიაში.

პორტუგალიის მთავრობის თანამშრომლობა იან სმიტის რასისტულ რეჟიმთან ეწინააღმდეგება მსოფლიო საზოგადოებრობის მოთხოვნებსა და უშიშროების საბჭოს 21 ნოემბრის გადაწყვეტილებას, რომელიც მოუწოდებს ყველა ქვეყანას გაწყვიტონ ეკონომიური ურთიერთობა საამხრეთ როდეზიასთან.

საერთაშორისო

დაგომეის ამბები

პარიზი, 29 ნოემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი კოტონუდან იუწყება, რომ დაგომეის პრეზიდენტი სურუ-მიგან აპიტი და ვიეცე-პრეზიდენტი ჟიუსტენ აჰომადეგბე არმიის ზეგავლენით გადადგნენ. ორივემ დღეს დილით გადასცა განცხადება გადადგომის შესახებ არმიის სარდლობის წარმომადგენლებს.

დაგომეის არმიის შტაბის უფროსმა გენერალმა კონსტიფუ სოკლომ განაცხადა, რომ არმია არ აპირებს ხელში აიღოს ძალაუფლება, „თუ ამას ხალხი არ მოასურვებს“. მან აღნიშნა, რომ არმია მხოლოდ იმ შემთხვევაში აიღებს ხელში ძალაუფლებას, თუ ეროვნული კრების თავმჯდომარე ტაირუ კონგაკუ არ იკისრებს ქვეყნის ხელმძღვანელობას ახალ არჩევნებამდე. ცნობაში აღნიშნულია, რომ კონგაკუ ჯერჯერობით არ გამოუცხადებია თავისი გადაწყვეტილება.

ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ ნუბელ დაგომეის დედაქალაქ პორტო-ნოვოსა და კოტონუში შემოღოლა კომენდანტის საათი.

ახლანდელი პოლიტიკური კრიზისი დაგომეაში იმის შედეგი იყო, რომ პრეზიდენტ აპიტისა და ვიეცი-პრეზიდენტ აჰომადეგბეს შორის, რომელსაც აგრეთვე პრემიერ-მინისტრის პოსტი უკავია სერიოზული უთანხმოებანი წარმოიშვა სახელმწიფო პოლიტიკის მთელ რიგ საკითხებში. აჰომადეგბეს ინიციატივით აპიტი გარიცხეს დაგომეის მმართველი დემოკრატიული პარტიიდან და შაბათს პარტიის ხელმძღვანელობის, მთავრობის წევრთა, ეროვნული კრებისა და არმიის წარმომადგენელთა გაერთიანებულ თათბირზე გადააყენეს პრეზიდენტის პოსტიდან.

კუვეიტის სახელმწიფოს ახალი მეთაური

კუვეიტი, 27 ნოემბერი. (საკდესი). კუვეიტის ეროვნული კრების საგანგებო სხდომაზე შეიხმა საბაჰ ას-სალიმ ას-საბაჰმა ფიცი დაო კუვეიტის სახელმწიფოს მეთაურის პოსტის დაკავების გამო. ეროვნული კრებისადმი მიმართვაში სახელმწიფოს ახალმა მეთაურმა აღნიშნა, რომ კუვეიტი კვლავ განაგრძობს საგარეო და საშინაო პოლიტიკას, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა განსვენებულმა ემირმა შეიხ ა.ალ ას-სალიმ ას-საბაჰმა.

მდგომარეობა ინდონეზიაში

ჯაკარტა, 27 ნოემბერი. (საკდესი). უმაღლესი ოპერატიული სარდლობის შტაბის უფროსმა გენერალ-მაიორმა სუბარტომ რამდენიმე ცვლილება შეიტანა ინდონეზიის არმიაში ოფიცრების ხელისუფლების ამ უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელობაში. დღეიდან ამ ორგანოში გაუქმებულია ყველა სამოქალაქო პოსტი. უმაღლესი ოპერატიული სარდლობის შტაბი, რომლის თავმჯდომარეა პრეზიდენტი სუკარნო, ახლა შედგება მხოლოდ შეიარაღებული ძალების ოფიცრებისაგან.

ნიუ-იორკი, 27 ნოემბერი. (საკდესი). ინდონეზიის არმიის სარდლობამ სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ცელებესზე გამოსცა ბრძანება ინდონეზიის კომპარტიის ორგანიზაციებისა და მასი მომხრე ორგანიზაციების გაუქმების შესახებ ინდონეზიის ამ ნაწილში. ამას იტყობინება აბოშეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ჯაკარტიდან. ამრიგად, ეს ინდონეზიის უკვე მესამე რაიონია, რომელშიც აკრძალეს კომპარტიის საქმიანობა.

ჯაკარტა, 27 ნოემბერი. (საკდესი). ინდონეზიის გაზეთები წერენ, რომ მნიშვნელოვნად მოიმატა ოფიციალურმა ფასებმა. მაგალითად, ლიტრი ბენზინის ფასი 4 რუპიიდან 250 რუპიამდე გადიდდა. ამასთან რამდენჯერმე გაიზიდა აგრეთვე გემით, მატარებლითა და ავტობუსით მგზავრობის ტარიფები. ფოსტის, ტელეფონისა და ტელეგრაფის სამსახურმა ბუთ-შეიდჯერ გაადიდა საფოსტო ოპერაციათა ფასი.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა

გუშინ იუგოსლავიელმა ხალხმა იზეიმა ეროვნული დღესასწაული. 20 წლის წინათ, 29 ნოემბერს გამოცხადებულ იქნა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკა. ახლა მას იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა ეწოდება.

• • •

სურათზე: რესპუბლიკის დედაქალაქი ბელგრადი.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ამერიკის სირცხვილი და სინდისი

ამერიკელი მიმომხილველები უკვე რამდენიმე კვირაა აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი სულ ცუდ გუნებაზეა. ... ეს დაკავშირებული არ არის ამას ... გადატანილ ოპერაციასთან. ამერიკის საუკეთესო ქირურგებმა საუკეთესოდ გაარჩევეს თავი თავისაგან ამოცანას ... გამოჯანსაღებაც კარგად მიმდინარეობს. და, მაინც, პრეზიდენტი მინორულ ... ნებისყოფა. როგორც გაზეთები წერენ, ... შეშფოთებულია არასასიამოვნო ... ბებით, რომლებსაც თეთრ სახლში ... ლებენ.

ამერიკელებს ცუდად აქვთ საქმე ვიეტნამში. ვიეტნამელი პატრიოტები სულ ... ეტრო საგრძნობ დარტყმებს აგებენ ... ტერვენტთა 150 ათასიან არმიასა და ... ელი მარიონეტების 600 ათასიან ... ს. ერთი კვირის მანძილზე 14-20 ნოემ... ს მარტო ამერიკელებს დაუზოცეს 240 ჯარისკაცი და ოფიცერი. როგორც ... ზეთები წერენ, ომის მანძილზე ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ კვირაში ... ეთი დიდი ზარალი ჯერ არ მქონია. ... ს კი ბოლო არ უჩანს.

როგორც პრესა იუწყება, ახალ ვაშინგტონში ადგენენ გეგმებს, რომ 200 ათასამდე გაზარდონ ამერიკის ჯარების რიცხვი ... ეტნამში და გაგზავნონ იქ ახალი ტექნიკა, საკმაოდ ცნობილი რიჩარდ ნიქსონის ... ვაზეთი „ომის მოტრფიალეები“ მოითხოვ... ს ომის გაფართოებას და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მეკობრეობ... ს დაბომბვის გაძლიერებას. ამერიკის ... ესაში ცინიკურად მსჯელობენ, თუ რა ... დებითი და უარყოფითი შედეგები მოყვება „მცირე“ ატომური იარაღის გა... ყენებას. პოლიტიკური „მკურნალები“ ... ელდნენ დაამშვიდონ პრეზიდენტის ... შფოთებული სული და არწმუნებენ ... ს, თითქოს ამერიკელი ხალხი მხარს ... ერს პრეზიდენტის საომარ პოლიტიკას ... ეტნამში. მაგალითად, ყბადაღებულმა ... ელაის ინსტიტუტმა იანგარიშა, თითქოს ... ს პოლიტიკას იწონებს ამერიკელთა 66 პროცენტი. ძნელი სათქმელია, რითი ხელმძღვანელობდნენ ამ ინსტიტუტის თანამშრომლები, როცა „საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენლებს“ ირჩევდნენ, მაგრამ მათი ანგარიშიდანაც კი ჩანს, რომ ყოველი მესამე გამოკითხული ამერიკელი ან არ იწონებს, ან აქტიურად წინააღმდეგია ბინძური ომისა. და ამ „ყოველი მესამის“ ხმა სულ უფრო ძლიერი, მტკიცე, და, რაც მთავარია, მნიშვნელოვანი ხდება, ვინაიდან დღეს ისინი არიან ამერიკის სინდისი და, იმედი.

შემთხვევითი როდია, რომ საპროტესტო მოძრაობა გავრცელდა სტუდენტთა შორის. ახალგაზრდობას არ სურს სამხედრო მონოპოლიათა მოგების გულისათვის გაეხვიოს ბრძოლის ქარცეცხლში. საყოველთაოდ იქმნება „ჯარში გაწვევის საწინააღმდეგო კავშირები“, რომლებიც მოითხოვენ, რომ ახალგაზრდობა მოერიდოს სამხედრო ვალდებულებას. იზრდება იმ ახალგაზრდათა რიცხვი, რომლებსაც პატიმრობა ურჩევნიათ აგრესორთა არმიაში წასვლას. და არც ის არის შემთხვევითი, რომ პროტესტის მოძრაობა ინტელიგენციის ფართო წრეებში გავრცელდა. გონებრივი შრომის ადამიანებს ეარგად აქვთ შეგნებული არა მარტო ამ ომის ბარბაროსული და უკანონო ხასიათი, არამედ ისიც, რომ მას შეიძლება მოჰყვეს უფრო დიდი და კეცობრიობისათვის დამღუპველი ომის ხანძარი.

ამერიკის თვალსაჩინო იურისტთა ჯგუფმა ამას წინათ გამოაქვეყნა მემორანდუმი, რომელშიც განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ომი ვიეტნამში ამერიკის კონსტიტუციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და სხვა საერთაშორისო შეთანხმებათა დარღვევაა.

კოლუმბიის, ჰარვარდის, ნიუ-იორკის, ბოსტონის, იელის, კორნელისა და ამერიკის სხვა უნივერსიტეტების 600-ზე მეტმა პროფესორმა და მასწავლებელმა წერილი გაუგზავნა პრეზიდენტს, რომელშიც მოუწოდებენ „ბოლო მოუღოს ხოცვა-ყლეტას“.

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას ვიეტნამში გმობს ათობით საზოგადოებრივი ორგანიზაცია. არ გვინდა, რომ თქვენ დაიბოცოთ საიგონელ მოღალატეთა რეჟიმისათვის... არ გვინდა, რომ თქვენ მოსპოთ პატარა ქვეყანა, რომელიც სულაც არ უქმნის საფრთხეს ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროებას“,— ნათქვამია „მშვიდობისათვის მებრძოლი ქალების“ ორგანიზაციის მიმართვაში საბრძოლ ვიეტნამში გაგზავნილი ამერიკელი ჯარისკაცებისადმი. ვიეტნამში მშვიდობას მოითხოვენ თავიანთ მიმართვაში ამერიკის არმიის ვეტერანთა ჯგუფები.

ომის საწინააღმდეგო მოძრაობის გაკვნებამ, განსაკუთრებით უნივერსიტეტებში. იმდენად შეაშფოთა მთავრობა, რომ გამოძიების ფედერალურმა ბიუროომ ბრძანება მიიღო გამოიკვლიოს ეს საქმე. გამოძიების ფედერალურმა ბიუროომ გაანალიერა სტუდენტთა ორგანიზაციების მეთვალყურეობა. მაგრამ რეპრესიების მუქარა მხოლოდ ცეცხლზე ნავთის დასხმა იყო. უნივერსიტეტებში მოეწყო საპროტესტო მიტინგები ომის წინააღმდეგ. რომ ცდილობენ ჩაახშონ ახალგაზრდობის ხმა, იგივე ექვსასი პროფესორი ჯონსონისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავს: „ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ მხარს ვერ დავუჭერთ თქვენს პოლიტიკას ვიეტნამში. ახლანდელი მუქარა, რომ გამოძიებენ სტუდენტებისა და სხვა კრიტიკოსების პროტესტებს, ვერ გვაიძულებს, უარი ვთქვათ ბრძოლაზე მცდარი და ამორალური პოლიტიკის წინააღმდეგ. მხარს დავუჭერთ ჩვენს კოლეგებს, ჩვენს სტუდენტებსა და ყველა პასუხისმგებელ მოქალაქეს, რათა მიაღწიონ იმას, რომ მათი ხმა გაიგონოს მთავრობამ“.

ამერიკის სინდისი აღსდგა ამერიკის ღირსების დასაცავად. 27 ნოემბერს გაიმართა ომის მოწინააღმდეგეთა გრანდიოზული ლაშქრობა ვაშინგტონში. სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებების ადამიანებს აერთიანებდა ერთი მისწრაფება — იხსნან თავიანთი ქვეყანა ბინძური ომის სისხლისღვრისა და სირცხვილისაგან. ვაშინგტონის მმართველი წრეები განსაკუთრებით ამის გამო არიან გაბრაზებული, რომ მარშში მონაწილეობა მიიღეს „დემოკრატიული მოქმედების მომხრე ამერიკელთა“ დიდი პოლიტიკური ორგანიზაციის წევრებმა.

სანუგეშო არ იყო პრეზიდენტ ჯონსონისათვის ახალი ამბები, რომლებიც ვაშინგტონში ჩამოიტანა 24 ნოემბერს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა. რიო-დე-ჟანეიროში მიმავალი რასკი ეწვია ლათინური ამერიკის ზოგიერთ დედაქალაქს, მაგრამ ამ ტურნეს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. წარმატებით არ დამთავრებულა აგრეთვე მისი ცდა, რომ ზეგავლენა მოეხდინა „ურჩი“ ქვეყნების წარმომადგენლებზე, რომლებიც რიო-დე-ჟანეიროში შეიკრიბნენ 17 ნოემბერს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის საგარეო საქმეთა მინისტრების საგანგებო კონფერენციაზე.

ამ კონფერენციაზე ვაშინგტონელი პოლიტიკოსების მთავარი ამოცანა იყო შეექმნათ ეგრეთწოდებული „ამერიკის სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები“. ეს ამოცანა შეუსრულებელი დარჩა. ჯონსონი ვერ უსაუკეთესურებს რასკს, რომ ამაოდ დაარგა ახლანდელ რთულ სიტუაციაში ძვირფასი რამდენიმე დღე. რასკი პატიოსნად შრომობდა დავალების შესასრულებლად. იგი არა მარტო იყენებდა თითოეულ შემთხვევას საჯარო შეგონებათა, „არამედ რიგრიგობით ხვდებოდა ... ...

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲖᲔ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲨᲘ გაიმართა საერთაშორისო კონგრესი, რომელიც მიეძღვნა კლასიკური ფილოლოგიის პრობლემებს. კონგრესში მონაწილეობდნენ ქართველი მეცნიერები — პროფესორი მ. ჩიქოვანი და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ო. ლორთქიფანიძე.

გაზეთ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ კორესპონდენტი ესაუბრა პროფესორ მ. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲡ და სთხოვა კონგრესზე მიღებული შთაბეჭდილებები გაეზიარებინა მკითხველისათვის.

— მიმდინარე წლის ნოემბერში, — გაანაცხადა პროფესორმა მ. ჩიქოვანმა, — ერთ კვირას გრძელდებოდა ქ. ბუდაპეშტში საერთაშორისო კონგრესი კლასიკური ფილოლოგიის დარგში. კონგრესი მოიწვია უნგრეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ. საბჭოთა კავშირისა და ევროპის ქვეყნების სამასზე მეტი გამოჩენილი მეცნიერი შეიკრიბა ბერძნული და რომაული კულტურის პრობლემების განსახილველად. ქ. ᲐᲗᲔᲜᲘᲡ საუნივერსიტეტის ფილოლოგები, ხელოვნების ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, ფოლკლორისტები, არქეოლოგები, ნუმიზმატიკოსები. ფილოსოფოსები, რელიგიის მკვლევრები და სხვ.

სამუშაო ენა ოთხი იყო: რუსული, ინგლისური, გერმანული და ფრანგული. მოხსენებათა პრობლემების მიხედვით ოთხი სექცია მუშაობდა. ესენი იყო: 1. საზოგადოებრივი წყობა ძველად; 2. ძველი ალმოსავლეთი და კლასიკური ანტიკურობა. მათი ურთიერთობის გამოხატულება რელიგიაში; 3. ფილოსოფიის ისტორია და ისტორიის ფილოსოფია ძველად; 4. დუნაის აუზისა და შავიზღვისპირეთის ხალხები და მათი ისტორიული კავშირი ძველ სამყაროსთან.

კონგრესის საქმიანობაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ზოძმე უნგრეთის სწავლულთა მონაწილეობა. გარდა იმისა, რომ უნგრეთის მეცნიერები მასპინძლები იყვნენ, ისინი ყველა სექციაში წამყვან როლს თამაშობდნენ. მათ კონგრესზე წარმოდგენილ ბევრი ისეთი მოხსენება, რომლებსაც თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ ანტიკური კულტურის კვლევის ისტორიაში უკანასკნელ პერიოდში უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის მეშვეობით გამომქღავნებულია უნიკალური მნიშვნელობის არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც აღადგენს ძველი პანონიისა და სავარიის სახეს და შუქს ჰფენს რომაული კულტურის აქამდე შეუსწავლელ ისტორიას დუნაისპირეთში („აკვინკუმი“ ბუდაპეშტში, არქეოლოგიური გათხრები უნგრეთის ძველ სატახტო ქალაქ სეკეშში, ბალატონზე, ზომბატჰეიტში და სხვ.).

კონგრესის მონაწილე ქვეყნის წარმომადგენლები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ კონგრესი მაღალ მეცნიერულ დონეზე მიმდინარეობდა და მას უარყოფად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანტიკური სამყაროს შეუსწავლელ და ნაკლებად შესწავლილ პრობლემათა გარკვევისათვის. გადაწყდა მომავალი ფორუმი ჩატარდეს პრაღაში და მიეძღვნას ასეთი საერთო პრობლემას: „ᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲒᲝᲜᲓᲐ“.

საბჭოთა კავშირი კონგრესზე ათი მეცნიერის სახით იყო წარმოდგენილი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თამარშრომელმა არქეოლოგმა ოთარ ლორთქიფანიძემ კონგრესს წარუდგინა მოხსენება თემაზე: „ᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲙᲝᲚᲩᲘᲓᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲚᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲨᲘ“.

პირადად მე კონგრესზე უფრო ანტიკური მითოლოგიითა და ქართულ-ბერძნული ურთიერთობით ვიყავი დაინტერესებული. ამავე საკითხს მიეძღვნა ჩემი მოხსენებაც (ბერძნული პრომეთეს მითის კოლხურ-იბერიული კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული ამირანის თქმულებასთან ურთიერთობის პრობლემა).

ამირანის ქართული თქმულება უნგრელ მეცნიერთა შორის უკვე პოპულარობით სარგებლობს. იქაურმა აკადემიკოსმა ტრენჩენი-ვალდაპფელმა ამირანის ბერძნულ მითებთან შედარების პროექტმა ცალკე გამოკვლევა უძღვნა და შედეგები კიდევაც გამოაქვეყნა უნგრულ-გერმანულ-რუსულ ენებზე ცნობილ ნაშრომში „მითოლოგია“. ასევე ქართველოლოგმა მარტონ იშტვანოვიჩმა ჩვენი „ქართული ეპოსის“ შესახებ რეცენზიაც გამოაქვეყნა. ამან ერთგვარად განაპირობა ის ინტერესი, რაც კონგრესზე ამირან-პრომეთეს პრობლემას ხვდა წილად. მოხსენებას ესწრებოდნენ უნგრელი ფოლკლორისტები და მითოლოგები, აგრეთვე კონგრესის მონაწილე ქვეყნის ოთქმის ყველა წარმომადგენლები. მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს კონგრესის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ი. ტრენჩენი-ვალდაპფელმა, აკადემიკოსმა დ. ოტრუტაიმ, პროფესორმა გ. სარქისიანმა (სომხეთი), პროფესორმა ა. ბელტუნოვამ (მოსკოვი). უნგრელმა სწავლულმა პ. სალმაშმა და პროფესორმა ტ. ხორვატმა.

კონგრესის მონაწილეებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა უნგრეთის დემოკრატიული ქვეყნის გაცნობამ, იმ სამეურნეო და კულტურულმა წარმატებებმა, რაც უნგრელ ხალხს მოუპოვებია უკანასკნელ პერიოდში, მოგზაურობის დროს ზომბატჰეიტში დილეგაციებს შეხვედრა მოუწყო ქალაქის მერმა. შეხვედრაზე კონგრესის მონაწილეთაგან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შემდეგ სიტყვა მიეცა საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელს.

კლასიკური ფილოლოგიის დარგში ჩატარებული ბუდაპეშტის საერთაშორისო კონგრესი, — განაცხადა დასასრულ პროფესორმა მ. ჩიქოვანმა, — ახალ მნიშვნელოვან ფურცელს წარმოადგენს ძველი საბერძნეთისა და რომის კულტურის ისტორიის შესწავლის გზაზე. კონგრესის მონაწილე ყველა ქვეყნის წარმომადგენლები ერთხმად აღიარებდნენ მშვიდობისათვის ბრძოლის სასიცოცხლო მნიშვნელობას მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). № 4 პროფტექნიკური სასწავლებელი, რომელიც ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნისათვის ახალგაზრდა მუშების კვალიფიციურ კადრებს ამზადებს, ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში.

პროფტექნიკურ სასწავლებელთა დაარსების 25-ე წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და მიმდინარე წლის მესამე კვარტალში მოპოვებული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის სასწავლებელი პირველ ადგილზე გამოვიდა. მას მიეკუთვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს, პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, აგრეთვე პირველი ფულადი პრემია.

ამ დღეებში ავტომშენებელთა კლუბში მოხდა გარდამავალი დროშის საზეიმო გადაცემა.

◆

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

● ᲐᲛ დღეებში ქ. ზუგდიდში ოქტომბრის მოედანთან საქალაქო ბის ზუგდიდის გამყოფილებამ გახსნა ტელეფონორების, რადიომიღებებისა და მაგნიტოფონების შემკეთებელი ახალი სახელოსნო.

Გ. ᲐᲚᲐᲛᲘᲫᲐᲘᲐ.

● **ᲨᲕᲘᲓ** სოფელს ემსახურებიან ამბროლაურის რაიონის სოფელ ბუგეულის ფოსტა-ტელეგრაფის გახყოფილების მოშაკები. მათ ნორმალურ მუშაობას დღემდე რამდენადმე აფერხებდა შესაფერისი შენობის უქონლობა.

ახლა ეს ნაკლი გამოსწორებულია — ბუგეულის ფოსტა-ტელეგრაფი ახალ შენობაში გადავიდა.

ᲐᲙ. ᲙᲘᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲓᲐᲡᲣᲠᲕᲐ

თითქმის ერთმა თვემ განვლო მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტების — ბ. სპასკისა და მ. ᲩᲐᲚᲘᲡ დიდ ᲙᲐᲯᲭᲠᲝᲑᲐᲨᲘ. რამდენიმე დღის წინათ მეტოქეებმა საათები გაანაწილეს. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ტალმა გამარჯვება მიულოცა ბ. სპასკის, გამოვლინდა მსოფლიოს ჩემპიონის ტ. პეტროსიანის მოწინააღმდეგე.

ბ. სპასკისა და მ. ტალის მატჩის დამთავრებას მიეძღვნა გუშინდელი საზეიმო საღამო თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში, იქ, სადაც მიმდინარეობდა თანამედროვეობის ამ აღიარებული გროსმაისტერების პაექრობა.

საღამო გახსნა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარემ ა. ᲨᲘᲠᲐᲫᲐᲛᲘ. ტრიბუნაზეა მატჩის მთავარი არბიტრი საერთაშორისო გროსმაისტერი სალო ფლორი. მან ილაპარაკა გიგანტთა იმ ბრძოლაზე, რომლის მოწმენი იყვნენ არა მარტო თბილისელები, არამედ მთელი საჭადრაკო სამყარო, შეეხო იმ რთულ გზებს, რომლებიც მეტოქეებმა გაიარეს ფინალამდე.

ფიდეს სახელით სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, საერთაშორისო გროსმაისტერი ᲘᲐ. ᲐᲕᲘᲠᲑᲐᲮᲘᲜᲘ ბ. სპასკის სახელიმდე აცხადებს ტ. პეტროსიანის მეტოქედ.

პრეტენდენტებს მიესალმა და სამასსოვრო საჩუქრები გადასცა საქართველოს სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარის, ᲗᲝᲜᲓᲝᲠᲘᲫᲔᲡ ᲛᲘᲠᲖᲐᲜᲘ. ᲗᲝᲜᲓᲝᲠᲘᲫᲔᲡ ᲛᲘᲠᲖᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲛᲘᲡᲐᲛᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲡᲐᲛᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲜᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲘᲠᲩᲔᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘ Კ. ᲛᲐᲒᲐᲠᲐᲫᲔ, ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ნ. ᲓᲘᲪᲘᲜᲡᲙᲘᲗ, საქართველოს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პიონერები.

მაყურებლები ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ მ. ტალისა და ბ. სპასკის გამოსვლას. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ბ. სპასკის მიულოცა გამარჯვება და უსურვა მას წარმატება მომავალ. ყველაზე პასუხსაგებ ბრძოლაში. ბ. სპასკიმ მადლობა გადაუხადა დამსწრეებს გულითადი შეხვედრისათვის, შეჯიბრების ჩინებული ორგანიზაციისათვის

დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: წინა პლანზე (მარჯვნიდან მარცხნივ) ბ. ᲡᲞᲐᲡᲙᲘ, ნ. ᲒᲐᲣᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ და მ. ᲩᲐᲚᲘ.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

ᲓᲐᲑᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲚᲘ... 1812

ᲫᲕᲔᲚᲘ დასაჯერებელია, რომ ჩვენი თანამედროვის პასპორტში იყოს ასეთი აღნიშვნა. მაგრამ პირველი სამამულო ომის დაწყების წელი აღნიშნულია არაზაპის საბჭოთა მეურნეობის მცხოვრებ ასმარ სალახოვას პასპორტში. ეს საბჭოთა მეურნეობა სომხეთში არარატის ხეობაში მდებარეობს.

ამ ადგილების მკვიდრი სალახოვა რუსეთ-თურქეთის ომის დროს თურქეთში მოხვდა, შემდეგ ირანში ცხოვრობდა. 187 წლის იყო სალახოვა როცა კვლავ დაბრუნდა შობლიურ მხარეში.

ახლა ბებია ასმარი ცხოვრობს თავის შვილიშვილის შვილიშვილთან — საბჭოთა მეურნეობის მუშა იუსუბ მამედოვთან. თავს კარგად გრძნობს, მას ᲰᲧᲐᲕᲡ რვა შვილიშვილი, 20 შვილიშვილის შვილი, 14 შვილიშვილის შვილიშვილი. ასმარი მეხუთე თაობას მოესწრო.

ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ... ᲗᲘᲗᲘᲡ ᲦᲐᲠᲨᲘ

ᲣᲖᲑᲔᲙᲔᲗᲨᲘ აღმოჩენილია საოცარი თიხის უმდიდრესი საბადო, რომელიც ყველა ცოცხალ უფრო კარგად „ფუფდება“. როცა თიხას ასველებენ, მისი მოცულობა რამდენიმეჯერ მატულობს. თიხის ამ თვისებამ გადაწყვიტა ირიგაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა — აღმოუხვრილიყო წყლის დანაკარგები არეებში.

ეს თაოსნობა მოსკოველ მეცნიერებს ᲙᲣᲗᲜᲘᲗ. ცდები მოეწყო მშიერ ველზე ერთ-ერთი სარწყავის კალაპტი დაამუშავეს ბენტონიტით (ასე ეწოდება ამ არაჩვეულებრივ თიხას). შემდეგ როცა სარწყავში გაუშვეს წყალი, თიხა გაფუვდა და დაგმანა მიწის მთელი ფორები. წარმოიქმნა თავისებური ეკრანი, რომელიც წყალს აღარ ატარებდა.

ᲣᲗᲔᲡᲚᲝ ᲡᲐᲖᲐᲛᲗᲠᲝ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის მეცნიერებმა დაამთავრეს ორიგინალური კვლევა. რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მათ გადასცეს უთესლო საზამთროს, ნესვის, ყაბაყის, კიტრისა და გოგრისებრთა ოჯახის სხვა კულტურების თესლი.

როგორ გამრავლდნენ ეს მცენარეები, თუ ისინი უთესლოა? აღმოჩნდა, რომ ყველა ნაყოფი უთესლო როდია, უთესლო გამდიის მხოლოდ ის ნაყოფი, რომლებიც პირველ და მეორე „იარუსებზე“ ასხია. ზედა „იარუსების“ პომიდორს, საზამთროს, ნესვს, კიტრს აქვს უმნიშვნელო, მაგრამ გასამრავლებლად საკმარისი თესლი.

ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲔᲯᲚᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲒᲔ

ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ოლქის ქალაქ ლადუშკინის ცენტრში ხარობს უზარმაზარი მუხა, რომლის ტანს ეკვსი კაციც კი ძლივს შემოაწვდენს ხელს. 1410 წლის ცნობილი გრიგოლელდის ბრძოლის დროს ეს გოლიათი ხე დაახლოებით 800 წლისა იყო. მას შემდეგ ხუთნახევარი საუკუნე გავიდა და ეს უნიკალური მუხა კიდევ რამდენიმე გრანდიოზული ბრძოლის მოწმე გახდა. 1807 წელს რუსეთის არმია აქ ებრძოდა ნაპოლეონის ჯარებს, ხოლო 138 წლის შემდეგ მუხა ბალტიისპირეთში ჰიტლერელთა განადგურების მოწმე გახდა.

დენდროლოგებმა უყურადღებით გამოიკვლიეს გოლიათი მუხა და აღმოჩნდა, რომ ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მას ათობით ტყვია და ნამსხვრევი მოხვედრია, მაგრამ მუხამ „ეფექაცურად“ გადიტანა ჭრილობები.

ᲝᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ

28 ᲓᲐ 29 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ორი მატჩი ფეხბურთში.

ᲑᲐᲚᲣᲚ კვირადღეს თამაშობდნენ თბილისის „ლოკომოტივისა“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს ლოკომოტივლებმა ანგარიშით 4:2.

ᲓᲘᲓᲘ ინტერესი გამოიწვია გუშინდელმა საქალაქთაშორისო ამხანაგურმა შეხვედრამ კიევისა და თბილისის ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 3:2.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲗᲐ ᲬᲘᲜᲐ

ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ, 29 ნოემბერი (საკ. ᲘᲡᲡ). სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრებმა გუნდმა აქ ახალი გამარჯვება მოიპოვა. ჩვენმა სპორტსმენებმა ანგარიშით 63:58 (34:26) დამარცხეს არგენტინის დედაქალაქის სასპორტო ასოციაციის გუნდი. ეს ჩვენი კალათბურთელ ვაჟთა ზედიზედ მეცხრე გამარჯვებაა სამხრეთ ამერიკის სტადიონებზე.

ᲡᲐᲒᲒᲭᲝᲗᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘ

ᲐᲛ დღეებში სსრ კავშირის ჩემპიონი — მოსკოვის „ტორპედო“-იაპონიას ეწვია და გასულ კვირადღეს ხარისამაში საერთაშორისო მატჩი ჰქონდა „ტორპედოს კოგიოს“ საკლუბო გუნდთან. ანგარიში მე-15 წუთზე მასპინძლებმა გახსნეს. ტორპედოელებმა წონასწორობის აღდგენა მეორე ტაიმში შეძლეს (**ᲛᲐᲠᲣᲨᲘ**). მატჩის შედეგია ფრე — 1:1. ტორპედოელები იაპონიაში მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც გაზეთ „ასახის“ რედაქცია აწყობს.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ „ზენიტი“ მორიგ მატჩში შეხვდა ნიგერიის ნაკრებს. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 3:1.

ᲑᲐᲰᲐᲙᲝᲕᲘ გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. მალის დედაქალაქის კლუბების ნაკრებისა და ქუთაისის „ტორპედოს“ გუნდებს შორის. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — 0:0.

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲒᲔ

ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ოლქის ქალაქ ლადუშკინის ცენტრში ხარობს უზარმაზარი მუხა, რომლის ტანს ეკვსი კაციც კი ძლივს შემოაწვდენს ხელს. 1410 წლის ცნობილი გრიგოლელდის ბრძოლის დროს ეს გოლიათი ხე დაახლოებით 800 წლისა იყო. მას შემდეგ ხუთნახევარი საუკუნე გავიდა და ეს უნიკალური მუხა კიდევ რამდენიმე გრანდიოზული ბრძოლის მოწმე გახდა. 1807 წელს რუსეთის არმია აქ ებრძოდა ნაპოლეონის ჯარებს, ხოლო 138 წლის შემდეგ მუხა ბალტიისპირეთში ჰიტლერელთა განადგურების მოწმე გახდა.

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲓᲐᲡᲣᲠᲕᲐ

ᲑᲐᲚᲘᲡ და თითქოს კითხვებიც აღარ არის. არა, რას ბრძანებთ! ახლა, ორთაბრძოლის დამთავრების შემდეგ, თბილისში უფრო მეტ კითხვას გისვამენ, ვიდრე მატჩის დაწყებამდე. მეცა მაქვს კითხვა „კომუნისტის“ მკითხველებისადმი: კმაყოფილი ხართ მატჩის შედეგებით?

მე მგონია, რომ თბილისელები უკმაყოფილნი და ნაწყენიც კი არიან მიხეილ ტალის დიდი დამარცხებით. განა ასე არ არის? უმეტესობა ხომ მის მხარეზე იყო. მე ვფიქრობ, ტალიც გრძნობს თავის დანაშაულს თბილისელების წინაშე და ამიტომ უფრო განიცდის თავის მარცხს. იმედები გაუცრუა. მან თავის გულშემატკივრებს თბილისსა და მთელ საქართველოში.

მაგრამ რას იზამ! სპასკიმ და ტალმა იცოდნენ, თუ რას დებდნენ სასწორზე. მათ, რა თქმა უნდა, წინასწარ იცოდნენ, რომ ერთ-ერთმა მხარემ უნდა გაიმარჯვოს. იქნებოდა დამარცხებულიც, რომელიც ამავე დროს გამარჯვებულის თანაავტორია. ხომ დიდი ტალანტია მიხეილ ტალი — ასეთივე დიდი ტალანტია ბორის სპასკიც. ხომ მომხიბლავი, სიმპათიურია ტალი, — ასეთივეა სპასკიც. ტალს რომ გაემარჯვა, ბევრნი იტყოდნენ „რა საწყენია სპასკის დამარცხება!“ გაიმარჯვა სპასკიმ — ხალხს ტალის წაგება ეწყინა.

მერწმუნეთ, ყველაზე მძიმე თვით პრეტენდენტების მდგომარეობა იყო. ისინი, ხომ საუკეთესო მეგობრები არიან. მატჩის შემდეგ ბორისმა და მიშამ მეგობრულ ატმოსფეროში შესვეს თითო ჭიქა (ახლა უკვე შეიძლება ეს) და „ერთმანეთს სიყვარულიც აუსხლეს“ სპასკიმ უთხრა: „მიშა! მე ხომ დამნაშავე არა ვარ. მე შენ დიდ პატივს ვცემ. მაგრამ ცხოვრებამ „ᲛᲐᲘᲫᲣᲚᲐ“ მომეგო შენთვის“.

მიხეილ ტალს არა მარტო ლამაზად მოგება შეუძლია, არამედ ლამაზად წაგებაც (ეს ხომ ბევრად უფრო ძნელია). მან უკვე შეძლო ნაწილობრივ გამორკვეულიყო და თქვა: „არა, ბორის, მე პრეტენზიები არა მაქვს. ბოლოს და ბოლოს რა მოხდა? მე უკვე ვიუავი მსოფლიოს ჩემპიონი. შენ ხომ ძალიან გსურს ტიტულთან შეხვედრა. ითამაშე, გეთაყვა! გისურვებ დიდ წარმატებას პეტროსიანთან „საუბარში“! მაგრამ ჩვენ კიდევ შეეხვედებით ერთმანეთს.

რა თქმა უნდა, მიშა და ბორისი ხშირად შეხვდებიან ერთმანეთს. ტალისთვის აუცილებელია ასეთი შეხვედრები. მას მატჩამდე ჰქონდა სპასკის ვალი, ანგარიში იყო 5:1. ახლა ტალმა ასალი „ვალები“ აიღო ხომ უნდა დაფაროს როდესმე ექს-ჩემპიონმა ეს „ვალი“. ეს კი იოლი როდი იქნება.

ბევრი პროგნოზი გაკრუვდა მატჩის დროს. მცდარი გამოდგა საყოველთაო პროგნოზიც, რომ მხოლოდ მე-12 პარტია გადაწყვეტდა მატჩის ბედს. ეს პარტია საერთოდ არ გამართულა. რადგან სპასკი უკვე მე-11 პარტიის შემდეგ გახდა ერთადერთი პრეტენდენტი და მოჭადრაკე № 2.

როგორ მოხდა, რომ თანაბარი ანგარიშისას 4:4 ტალმა ასე სწრაფად და უმეტოდოდ დაკარგა ფარხმალი? ახლა არავითარი საიდუმლოება აღარ არის. თვით ტალმა აღიარა, რომ ნერვებმა უმტყუნა. ამავე დროს სპასკის ფიზიკური ფორმა ბევრად უკეთესი იყო. ტალი თავის დამარცხებაში „დამნაშავედ“ მარტო სპასკის როდი თვლის, არამედ ი. ბოხდარევსკისაც. ეს ბრიგადა, როგორც საჭადრაკო ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მშვენივრად მოემზადა მატჩისათვის. სპასკისა და ბოხდარევსკის ბრიგადამ თბილისში ჩამოიტანა ბევრად უფრო მეტი ვარიანტებით სავსე ჩემოდანი, ვიდრე ტალმა და კობლენცმა. ტალს, ამ „რიგელ ჯადოქარს“, მატჩში არ გამოუვიდა არც ერთი „ფოკუსი“. სპასკიმ მატჩის მსვლელობის დროს დაუშვა მხოლოდ ორი შესამჩნევი შეცდომა: მეორე პარტიაში (სადაც იგი კიდევაც დაინაჯა) და მეექვსეში, სადაც სუსტი სვლა ჩაიწერა. ჟერესი მართალია: სპასკი თითქმის უშეცდომოდ თამაშობს, ტალი კი უამრავ შეცდომას უშვებდა. ბორისი მეტოქის არასწორ სვლებს მსოფლიოს ჩემპიონზე უარესად „ოდ“ იყენებს.

ჭადრაკის გულშემატკივრებმა, ყველა იმათ, ვინც ტალს უჭერდა მხარს, ობიექტურად უნდა აღიარონ ტალთან ერთად, რომ ბორის სპასკი უკეთ იყო მომზადებული საჭადრაკო, ფსიქოლოგიური და ფიზიკური თვალსაზრისით და დამსახურებული, დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმა.

ბორის სპასკის მარშრუტი გრძელი, მძიმე და ეკლიანი იყო. მან შვიდი ეტაპი გაიარა: საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალი ხარკოვში, ჩემპიონატის ფინალი ლენინგრადში, ზონალური ტურნირი მოსკოვში, საზონთაშორისო ტურნირი ამსტერდამში. მაგრამ ამით არ ამოწურულა ყველაფერი. ახლა დაიწყო ყველაზე დიდი დაბრკოლებები. ბორის სპასკიმ ჯერ „ტალინის ციხე-სიმაგრე“ აიღო — კერესი დაამარცხა, შემდეგ მას „ოდესის ციხე-სიმაგრე“ — გელერიც მიაყოლა. ახლა კი თბილისში დამსახურებული ტრიუმფი იზეიმა — „რიგის ციხე-სიმაგრეს“ — ტალიც დანებდა. როგორც უძლიერესმა ყინულმჭრელმა ისე დაძლია სპასკიმ ეს კოლოსალური სიძნელეები და საჭადრაკო ოლიმპის მისადგომებთან მივიდა. ასეთი დიდი საჭადრაკო გმირობის ჩადენა შეეძლო მხოლოდ უდიდეს საჭადრაკო ტალანტს, ადამიანს, რომელიც ხასიათდება წარმოუდგენელი თვითდაკვების უნარით, ვაუკაცობით, ამტანობით, რკინისებური ნერვებით.

დღეს არა მარტო თბილისი, მოსკოვი და ლენინგრადიც ტაშს უკრავს ბორის სპასკის. მთელი მსოფლიო აღტაცებულია მისი კოლოსალური წარმატებით, რის შემდეგ სპასკი მსოფლიოში № 2 მოჭადრაკე გახდა (ეს ჯერჯერობით! ამბობს სპასკის გულშემატკივართა არმია).

ბორის სპასკიმ თბილისელებზეც საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა ანა მარტო ერთ-ერთ, მოწინავე საჭადრაკო რესპუბლიკაა, ეს უდავოდ დიდი დამსახურებაა ვიქტორ გოგლიძისა, ძლიერი პროტიკოსისა ჭადრაკის დიდი პროპაგანდისტის და ენთუზიასტისა.

ადრე, ძალიან ადრე გამოგვტაცა ეს ვდლმა ვიქტორ გოგლიძე. გულადამიანი, შესანიშნავი ამხანაგი და მეჯალაქე.

გულოვანი მეგობრის ხსოვნა მუდამ იქნება ჩვენს გულში.

ᲡᲐᲚᲝ ᲤᲚᲝᲠᲘ,
საერთაშორისო გროსმაისტერი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: სალო ფლორი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲣᲑᲢᲠᲝᲞᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲒᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ 1965-66 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲔᲡ ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲡᲐᲚᲔᲥᲪᲘᲝ-ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲜᲠᲘᲒᲘᲗ:

Ძ. ᲡᲝᲮᲣᲛᲨᲘ

ᲡᲣᲑᲢᲠᲝᲞᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲘᲡ: მე-2 კურსი — 21 მარტიდან 11 აპრილამდე, მე-3 კურსი — 20 თებერვლიდან 1 აპრილამდე, მე-4-5 კურსები — 1 დეკემბრიდან 10 იანვრამდე, მე-6 კურსი — 10 იანვრიდან 19 თებერვლამდე; **ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲘᲡ:** მე-2 კურსი — 11 იანვრიდან 1 თებერვლამდე, მე-3-4-5-6 კურსები — 4 იანვრიდან 13 თებერვლამდე; **